საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2021

II კვარტალი

03.09.2021

www.geostat.ge

03.09.2021

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2021 წლის II კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2021 წლის II კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 56.7 პროცენტით გაიზარდა და 35.0 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2021 წლის II კვარტალში მისი მოცულობა 13.2 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 43.4 პროცენტით მეტია:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება კვარტლების მიხედვით



03.09.2021

2021 წლის II კვარტალში მთლიანი ბრუნვის 61.4 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 18.2 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 20.4 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 45.9 პროცენტი, საშუალოზე - 27.1 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 27.0 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2021 წლის II კვარტალი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2021 წლის II კვარტალში 19.2 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 48.5 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 11.8 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 52.0 პროცენტით მეტი).

2021 წლის II კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 659.7 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 4.4 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42.0 პროცენტი ქალია, ხოლო 58.0 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 40.6 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22.6 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 36.8 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 623.7 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 4.0 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 648.3 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.9 პროცენტით მეტი).

2021 წლის II კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 389.6 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 214.0 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 1 098,4 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 182.1 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 440.3 ლარი
- საშუალო ბიზნესი – 1 640.4 ლარი
- მცირე ბიზნესი – 1 144.9 ლარი.

03.09.2021

2021 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 36.8 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 31.6 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 10.2 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 5.7 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 4.7 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 2.8 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 8.2 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა,
2021 წელი II კვარტალი



03.09.2021

2021 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (25.1 პროცენტი) და ვაჭრობა (19.2 პროცენტი), შემდეგ მოდის მშენებლობა (16.2 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.0 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 30.5 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2021 წელი II კვარტალი



03.09.2021

2021 წლის II კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 27.4 პროცენტი, 13.1 პროცენტი და 11.0 პროცენტიანი წილებით). თუმცა სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (8.8 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.0 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (4.6 პროცენტი):

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2021 წლის II კვარტალი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



03.09.2021

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2021 წლის II კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2020 წლის II კვარტალი	2021 წლის II კვარტალი	2021 წლის II კვარტლის ზრდის ტემპი 2020 წლის II კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**22 314.7**	**34 956.3**	**156.7**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	165.6	155.0	93.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	281.7	319.9	113.5
დამამუშავებელი მრეწველობა	2 257.8	3 555.7	157.5
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	769.3	969.1	126.0
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	63.2	94.1	148.9
მშენებლობა	1 395.6	1 997.3	143.1
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	8 184.5	12 847.0	157.0
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 304.4	1 657.9	127.1
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	252.6	342.9	135.8
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	76.2	142.6	187.1
საკვებით და სასმელებით მომსახურება	176.3	200.3	113.6
ინფორმაცია და კომუნიკაცია	401.0	575.8	143.6
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	280.4	327.3	116.7
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	310.6	369.2	118.9
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	124.3	195.7	157.5
განათლება	120.6	127.7	106.0
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	264.3	340.9	129.0
ხელოვნება, გართობა და დასვენება	6 117.4	11 049.3	180.6
სხვა სახის მომსახურება	21.5	31.6	147.2

03.09.2021

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2021 წლის II კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2020 წლის II კვარტალი	2021 წლის II კვარტალი	2021 წლის II კვარტლის ზრდის ტემპი 2020 წლის II კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**9 173.5**	**13 152.1**	**143.4**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	150.6	145.4	96.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	279.2	315.6	113.1
დამამუშავებელი მრეწველობა	2 154.6	3 307.4	153.5
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	379.7	533.1	140.4
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	68.6	105.0	153.0
მშენებლობა	1 484.8	2 129.9	143.4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1 623.5	2 524.9	155.5
ტრანსპორტი და დასაწყობება	904.8	1 182.5	130.7
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	270.6	346.2	127.9
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	98.4	146.1	148.5
საკვებით და სასმელებით მომსახურება	172.3	200.1	116.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	370.1	536.9	145.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	278.9	323.9	116.1
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	271.6	318.2	117.2
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	118.9	141.6	119.0
განათლება	126.0	134.8	107.0
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	456.9	595.6	130.4
ხელოვნება, გართობა და დასვენება	213.9	480.7	224.8
სხვა სახის მომსახურება	20.7	30.3	146.1

03.09.2021

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2021 წლის II კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2020 წლის II კვარტალი	2021 წლის II კვარტალი	2021 წლის II კვარტლის ზრდის ტემპი 2020 წლის II კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**631 814**	**659 718**	**104.4**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	11 579	11 455	98.9
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	8 409	11 006	130.9
დამამუშავებელი მრეწველობა	82 891	86 412	104.2
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	15 564	15 894	102.1
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 345	14 648	102.1
მშენებლობა	57 796	58 286	100.8
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	169 516	180 579	106.5
ტრანსპორტი და დასაწყობება	50 282	52 768	104.9
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	30 215	30 348	100.4
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	12 149	12 227	100.6
საკვებით და სასმელებით მომსახურება	18 066	18 121	100.3
ინფორმაცია და კომუნიკაცია	22 399	26 662	119.0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	17 725	17 818	100.5
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	21 520	21 607	100.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	19 240	19 497	101.3
განათლება	24 019	24 149	100.5
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	70 740	72 566	102.6
ხელოვნება, გართობა და დასვენება	9 341	9 564	102.4
სხვა სახის მომსახურება	6 234	6 459	103.6

რეგიონების მიხედვით **მთლიან ბრუნვაში** ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 77.5 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 5.3 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 4.8 პროცენტი,
- იმერეთი – 4.1 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.3 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის **მთლიან გამოშვებაში** ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 62.0 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 8.7 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 8.3 პროცენტი,
- იმერეთი – 6.8 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.6 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 65.7 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 8.4 პროცენტი,
- იმერეთი – 6.7 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5.7 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.6 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

- საქმიანობის სექტორები K, O, T, U
- 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
IV	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება, გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:
დავით კუპატაძე ტელ: 2 36 72 10 (200) E-mail: dkupatadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge